საქართველო
GEORGIA

სოფლის მეურნეობის
სამინისტრო
MINISTRY OF
AGRICULTURE

N 6140
20.02.14

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის

დირექტორს გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

თქვენი 2014 წლის 28 იანვრის #20140105 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წერილში ჩამოთვლილი საწარმოებიდან არც ერთი საწარმოს წილი და/ან აქციები არ არის სახელმწიფო საკუთრებაში. აღნიშნული კომპანიების საკონტროლო პაკეტები ეკუთვნის ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს (გარდა შპს მარცვლეულის შესანახი ცენტრებისა და შპს ქართული ბოსტნეულისა, რომელთა 100%-იანი წილიც ეკუთვნის სააგენტოს შვილობილ კომპანიებს).

თავის მხრივ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლის ადმინისტრაციული დანახარჯები (მათ შორის თანამშრომლებზე გაცემული შრომითი ანაზღაურება) არ შეადგენს სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებს. ხოლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27(ა) მუხლის შესაბამისად, კერძო სამართლის იურიდიული პირი წარმოადგენს საჯარო დაწესებულებას მხოლოდ სახელმწიფო ან ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ფარგლებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ თქვენ წერილში ჩამოთვლილი კომპანიების აუდიტორული შემოწმების შედეგები, მოგება-ზარალის უწყისი და/ან საბალანსო ანგარიშგება წარმოადგენს აღნიშნული კომპანიების კომერციულ მონაცემებს და არ განეკუთვნება საჯარო ინფორმაციას.

პატივისცემით,

დავით ტყემალაძე

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013